*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი"
# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# ავტორიზაცია

| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
|---|
| თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი |
| **წევრი:** |
| ეკატერინე პატიეშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი''

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 211351071

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 2 ივლისის N 553 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - მანანა მოისწრაფიშვილი, ჯგუფის წევრი - ეკატერინე პატიეშვილი,) 2019 წლის 16 და 17 ივლისს განახორციელა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯში ,,იკაროსი", მისამართი ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N4 .

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი" (ს/კ 211351071) პირობების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით.

კერძოდ, გავესაუბრეთ დაწესებულების ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამების განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიულ სტუდენტებს, დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემო როგორც კოლეჯში, ასევე პრაქტიკის ობიოექტებზე, შემოწმდა დაწესებულების საგნმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, დაწესებულების ვებ გვერდი, რეესტრი, დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსი. ვიზიტი წარიმართა საქმიან, კეთილგანწყობილ გარემოში.

განხორციელდა ვიზიტი ჯგუფის მიერ შერჩეულ პრაქტიკის ობიექტებზე, კერძოდ, სს ,,გუდვილი" და სასტუმრო რედისონი (Radisson Blu Iveria Hotel,Tbilisi). გავესაუბრეთ პრაქტიკის ინსტრუქტორებს, პრაქტიკის კოორდინატორებს და იქ მომუშავე პერსონალს, რომელთაგან ნაწილი კოლჯ ,,იკაროსის'' კურსდამთავრებული იყო.

სამუშაო ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

| მდგომარეობა (ახალი/ არსებული) | სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა | საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | შენობა-ნაგებობების ფართი | მისამართების რაოდენობა და მდებარეობა (ერთ მისამართზე/სხვადასხვა მისამართზე ერთ მუნიციპალიტეტში/ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) |
|---|---|---|---|---|---|
| არსებული | 396 | 2 | 42 | 9500,196კვ.მ. | ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N4 . |

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | ☐ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | ☐ |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | ☐ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | ☐ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | ☐ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | ☐ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | ☐ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | ☐ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

აღსანიაშნავია კოლეჯის ხელმძღვანელობის მჭიდრო კავშირები დამსაქმებლებთან, რაც ასახულია კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებლებზე - 88% დასაქმებულია.
მნიშვნელოვანია კოლეჯის წარმატებული თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან:
გერმანიის საერთაშორისო სტუმართმასპინძლობის ინსიტიტუტთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“-დან ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების მივლინება გერმანიის 24 წამყვან 4 და 5 ვარსკვლავიან სასტუმროებში, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან 90 დღიან სტაჟირებას. სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან როგორც საცხოვრებლით და საკვებით, ასევე შესრულებული სამუშაოს ყოველთვიური ანაზღაურებით. დღემდე სტაჟირება გავლილი აქვს 67 პროფესიულ სტუდენტს, რაც უდავოდ კარგი მაჩვენებელია.
დაწესებულების ხელმძღვანელის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება ერთობლივი დუალური პროგრამების შემუშავების და განხორციელებისთვის. კეთდება შედარებითი ანალიზი საქრთველოში არსებული პროგრამებისა და გერმანული პროგრამების თავსებადობის დადგენის მიზნით კულინარიისა და კონდიტერიის მიმართულებით.
2018 წელს ბრატისლავას (სლოვაკეთი) სასტუმრო-მომსახურების სფეროს კოლეჯთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ასევე ხორციელდება გაცვლითი პროგრამები პროფესიულ მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის. ტარდება ქართული კერძების მასტერკლასები. მიღწეულია შეთანხმება, რომ ყოველ წელს ბრატისლავიდან ჩამოვა დელეგაცია ქართული სამზარეულოს შესასწავლად მასტერკლასებზე საქართველოში და კოლეჯი „იკაროსიდან“ გაემგზავრებიან სტუდენტები სლოვაკეთში.
ა(ა)იპ კოლეჯი “იკაროსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კონდიტერის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს და აიღეს მესამე საპრიზო ადგილი 2019 წლის 7-9 მარტს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

პოლონეთში (კრაკოვში) გამართულ საერთაშორისო გასტრონომიული სკოლების მოლოპოვსკის XX-ე იუბილეზე, სადაც მონაწილეობას იღებდა პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი და საქართველო.

კიევის ტურიზმისა და სასტუმრო საქმის ტექნიკუმი (უკრაინა) და ა(ა)იპ კოლეჯ ,,იკაროსის'' ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია გაცვილითი პროგრამები პროფესიულ მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის; ასევე, მემორანდუმის ფარგლებში ორივე დაწესებულება ჩაატარებს მასტერკლასებს და გამოცდილების გაუზიარებს ერთმანეთს.

ასევე, აღსანიშნავია დაწესებულების აქტივობა სხვადასხვა კონკურსებში და მიღწეული წარმატებები.

- ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი'' არის 2017 წლის პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული ნომინაციებში:
- ✓ წლის პროფესიული განათლების მასწავლებელი-მთავარი პრიზის მფლობელი;
- ✓ წლის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2018 წელს წლის პროფესიული განათლების სტუდენტი.

2019 წლის შემოდგომაზე კოლეჯი „იკაროსი“ გეგმავს საერთაშორისო კონკურისის ჩატარებას კულინარიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვყნის პროფესიული კოლეჯების სტუდენტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

2.1. ქვესტანდარტი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს N1395 განკარგულების საფუძველზე 2014 წლის 11 აგვისტოს ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად კოლეჯისთვის იჯარის ფორმით სიმბოლურ თანხად გადაცემულ ფართს (ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირ N4-ში მდებარე უძრავი ქონებიდან [redacted] შენობა-ნაგებობა N1-დან ფართობი 9500.196 კვ.მ, N2-იდან -ფართობი 2273.61კვ.მ და ნაგებობა N3, შენობა ნაგებობები N5 და N6 საერთო ფართობით 2135კვ.მ.), რომელშიც განთავსებულია სასწავლო დაწესებულება, მოქმედების ვადა ეწურება 2019 წლის 11 აგვისტოს. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები არ ითვალისწინებს ფართის იჯარის ხელშეკრულების ვადების კონტროლს, სასწავლო დაწესებულების საქმიანობის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საჭიროა უმოკლეს ვადებში მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

2.7. ქვესტანდარტი

სასურველია შშმ პირებისათვის გარემო იყოს მეტად ადაპტირებული. კარძოდ, კუსტარული პანდუსების ნაცვლად მოეწყოს პანდუსები ან დამონტაჟდეს ლიფტი 2014 წლის 6 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილების №41 ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა დაარქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებისთაობაზე“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

## VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული, ხარისხიანი განათლება, მოამზადოს თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, ტურიზმისა და მომსახურების სფეროს მიმართულების პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური, კომპენტენტური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## სტანდარტების შეფასება

# 1. საგანმანათლებლო პროგრამები

**1.1** დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:
დაწესებულება გეგმავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას:
1) კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
2) კონდიტერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
აღნიშნული პროგრამების შემუშავების მიზნით შეიქმნა კომისია, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის ბრძანებით N286, 01-09/286. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება და დადასტურდა, რომ ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამების შემუშვების პროცესში.
2018 წლის 07 ივნისს ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსის“ დირექტორის N01-09/256 ბრძანებით დამტკიცდა ა(ა)იპ კოლეჯში ,,იკაროსი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კონდიტერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,

აღნიშნული წესის შესაბამისად, დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“-ს დირექტორის მიერ 2019 წლის 6 მარტის ბრძანებით N01-09/76.
თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა.
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 86 კრედიტი (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - 101 კრედიტი);
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად კონდიტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 80 კრედიტი (არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში - 95 კრედიტი).
აღნიშნული პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციები პროგრამაში მოცემულია ქართულ და ინგლისურ ენებზე.
ვიზიტის დროს გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამები, შესაბამისი სასწავლო გეგმები, სასწავლო კურსის მოდულები და მათი თანმიმდევრობა და პროგრამებთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტები.
ასევე, ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები, სადაც დეტალურად იყო გაწერილი პრაქტიკის ჩატარებისა და განხორციელების პირობები. ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფას სასწავლო ექსკურსიით მოდულისათვის ,,გაცნობითი პრაქტიკა’’-სასტუმრო, რესტორანი, კვება. საექსკურსიო ჯგუფები დაკომპლექტებულია 15-15 სტუდენტით, თითო ობიექტზე 2-2 ჯგუფის ვიზიტით.
ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე დადგინდა ჩარჩო დოკუმენტის „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ საფუძველზე შექმნილი პროგრამების დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიზანშეწონილობა, რომელსაც მოპოვებული ინფორმაციის შედეგად საფუძვლად უდევს:

1.კოლეჯის რეესტრის მონაცემები (აღნიშნული მიმართულებებით სწავლის მსურველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა 1 ადგილზე დარეგისტრირებული არანაკლებ 5 მსურველი);
2.კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები - მაღალი მოთხოვნადობა როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

3. ჯანდაცვის სამინისტოს მიერ განხორციელებული კვლევა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კვალიფიკაციები შედის მოთხოვნადი პროფესიების ნუსხაში;
4.დასაქმების მაღალი მაჩვენებელი (88 %.);
5.გადამზადების მსურველთა მზარდი რაოდენობა;
6.შესაბამის პოზიციაზე დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგის ჩატარების მაღალი მოთხოვნა;
7.საზღვარგარეთ სტაჟირების შესაძლებლობა.
კოლეჯში სწავლის მსურველთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებას დადგენილი აქვს და პრაქტიკულადაც ახორციელებს სასწავლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა სამ ცვლად, კვირაში 7 დღე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის წესდება;
- ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის და პროგრამის გაუქმების წესი და პროცედურები;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის ბრძანება N286, 01-09/286;
- ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 6 მარტის ბრძანება N01-09/76;
- კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- კონდიტერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**1.2** დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: დაწესებულების ვებ გვერდი www.icarus.ge, რომლის დათვალიერებით დასტურდება, რომ მისი განახლება ხდება რეგულარულად, საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს მიიღოს ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კერძოდ, ვებ-გვერდზე არის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, სადაც აგრეთვე მოცემულია ინფორმაცია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მილევად რეჟიმში მიმდინარე ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის შესახებ. მოცემულია საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების აღწერილობა, სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და სხვა. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა გაწერილია კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

კატალოგი დათარიღებულია 2019 წლით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებ გვერდზე www.icarus.ge განთავსებული კატალოგი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №01-09/167 ბრძანება.

**შეფასება:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი'' მიერ მოწოდებული დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამებების - კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კონდიტერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

პროფესიული პროგრამების წარმართვის შესახებ გაწერილია კოლეჯის „იკაროსი" დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/167 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში, რომლის მოთხოვნებსაც ასრულებს დაწესებულების პერსონალი.

პროფესიული პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების მიღწევის მექანიზმები და პროცესი გადამოწმდა დაწესებულებაში ვიზიტის პროცესში. დადგინდა, რომ კოლეჯში ყველა პირობაა შექმნილი პროფესიულმა სტუდენტმა გამოიმუშავოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ფორმირებული უნარები.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია და მისი განხორციელების პროცესი, მათ შორის საგნობრივი პროგრამისთვისაც. საგნობრივი პროგრამის-ბართენდერის-შემთხვევაში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად. მოდულური პროგრამებზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შეფასების მეთოდოლოგია წარმოდგენილია კოლეჯის „იკაროსი" სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;
- „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №01-09/167 ბრძანება.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში შემუშავებულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმები, რომელიც ასახულია ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/167 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში.

ვიზიტის პერიოდში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, რომლებსაც მოპოვებული, შეჩერებული ან შეწყვეტილი ჰქონდათ სტუდენტის სტატუსი (სულ 7 პირადი საქმე). მათი შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულება ზედმიწევნით იცავს მის მიერ შემუშავებულ წესებს და ყველა პროცედურა (სტატუსის მოპოვება, შეჩერება და შეწყვეტა) ხორციელდება რეგულაციების შესაბამისად. ასევე, გადამოწმდა იმ პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რომლებიც გარე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

მობილობით იყვნენ გადმოსულები (კოლეჯებიდან ,,ჰორიზონტი“ და ,,მერმისი“ - სულ 3 პირადი საქმე) კოლეჯში. მათ მიერ მიღებული განათლების აღიარება ვერ გადამოწმდა, რადგან ყველა შემთხვევაში მათ ჩარიცხვისთანავე ისარგებლეს გარე მობილობის უფლებით და ასაღიარებელი კრედიტები არ ჰქონდათ. თუმცა მისი არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას გაწერილი აქვს პროცედურა.

პროფესიულ სტუდენტთა შიდა მობილობის შემთხვევა ა(ა)იპ კოლეჯში ,,იკაროსი“ არ ყოფილა, თუმცა ასევე მისი არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას გაწერილი აქვს პროცედურა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №01-09/167 ბრძანება;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5** დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც ასახულია კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/167 ბრძანებით დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას ამავე კოლეჯის სხვა პროგრამაზე ან სხვა საგანმანთლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული კოლეჯებია: ა (ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟი“, ა( ა)იპ პროფესიული კოლეჯი ,,ჰორიზონტი“, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ,,მერმისი“ და სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,თეთნულდი“

ვიზიტის განმავლობაში გადამოწმდა პროფესიულ სასწავლებლებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ვადები და პირობები.

პროგრამის დახურვის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთა გარე მობილობის შემთხვევები დაწესებულებას არ ჰქონია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №01-09/167 ბრძანება;
- ინტერვიუს შედეგებით;
- სასწავლო დაწესებულებებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები: ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯთან ,,პრესტიჟი“ ,ა( ა)იპ პროფესიულ კოლეჯთან ,,ჰორიზონტი“ ,სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯთან ,,მერმისი“ და სსიპ პროფესიულ კოლეჯთან ,,თეთნულდი“

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6** დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გააუმჯობესე. ასევე, ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი''-ს დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის N01-09/168 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რაზეც პასუხისმგებელი პირი არის ხარისხის მართვის მენეჯერი. ვიზიტის პერიოდში გადამოწმდა ხარისხის კონტროლის ეტაპები, კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა, შევსებული კითხვარები, ანალიზის დოკუმენტები, ანალიზის შემდგომ გატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია. ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს დროს გაირკვა თუ რა პერიოდულობით და ვინ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, კოლეჯის ხედვის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების მაღალი ხარისხის სტანდარტების დაცვაზე, გამოკითხვებს ატარებს წელიწადში 3-4 ჯერ, მენეჯერი ყოველწლიურად აკეთებს სასწავლო პროცესის შეფასებას და ახდენს რეკომენდაციების გაცემასა და მისი შესრულების მონიტორინგს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი''-ს დირექტორის 2019 წლის 3 ივნისის N01-09/168 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები;
- კითხვარები;
- ანალიზის დოკუმენტები;
- დასაქმების სტატისტიკა;
- ინტერვიუს შედეგებით.
- შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

## 2. მატერიალური რესურსი

გადამოწმდება ვიზიტის ფარგლებში

**2.1** დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით კოლეჯის სასწავლო კორპუსი შენობა ნაგებობა N1 შეადგენს 9500.196 მ$^2$; რეაბილიტირებული სასწავლო ფართი 2507.24კვ.მ-ს; რეაბილიტირებული სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო სახელოსნოები შეადგენს 980,06კვ.მ-ს; დარჩენილი რეაბილიტირებული ფართი დამხმარე დანიშნულებისაა. ამასთანავე კოლეჯს გააჩნია სასწავლო ფართი 242,61კვ.მ, რომლის რეაბილიტაციასაც გეგმავენ.

აღნიშნულ რეაბილიტირებულ ფართში არის:

A ტიპის 7 სასწავლო გარემო თითოეული მოწყობილი ჯგუფში15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 105 ადგილი;

B ტიპის 3 სასწავლო გარემო თითოეული აღჭურვილიაჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე;, სულ 45 ადგილი;

C ტიპის 10 სასწავლო გარემო:

საკონდიტრო ოთახი N111 - ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე;

პირველადი სამედიცინო დახმარების ოთახი N302 - ჯგუფში15 პროფესიულ სტუდენტზე;

სერვირების კლასები N112 და N408 - ჯგუფში 15-15 პროფესიულ სტუდენტზე;

საძინებელი ოთახი N203 - ჯგუფში15 პროფესიულ სტუდენტზე;

საძინებელი ოთახი ლუქსი N204 - ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე;

სამზრეულო N205 , N208, N01, N114 - ჯგუფში14-14 პროფესიულ სტუდენტზე;

სახელოსნოებს ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს სულ:

კონდიტერია 1 ცვლაში 30 ადგილი; სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 60 პროფესიული სტუდენტი გაანგარიშებულია 2 ცვლაში სწავლების პირობით;

კულინარიის ხელოვნება 1 ცვლაში 112 ადგილი. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 336 პროფესიული სტუდენტი გაანგარიშებულია 3 ცვლაში სწავლების პირობით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. N4 | 9500.196 $მ^2$ |

დაწესებულებას წარმოდგენილი 2 მოდულური პროგრამის განსახორციელებლად გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით განსაზღვრული A, B და C გარემო.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს N1395 განკარგულების საფუძველზე 2014 წლის 11 აგვისტოს ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსსა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად კოლეჯისთვის იჯარის ფორმით სიმბოლურ თანხად გადაცემულ ფართს (ქ. თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირ N4-ში მდებარე უძრავი ქონებიდან [redacted] შენობა-ნაგებობა N1-დან ფართობი 9500.196 კვ.მ, N2-იდან -ფართობი 2273.61კვ.მ და ნაგებობა N3, შენობა ნაგებობები N5 და N6 საერთო ფართობით 2135კვ.მ.), რომელშიც განთავსებულია სასწავლო დაწესებულება, მოქმედების ვადა ეწურება 2019 წლის 11 აგვისტოს.

ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი"2014 წლი 29 აგვისტოს გაიარა ავტორიზაცია 5 წლის ვადით; ავტორიზაციის ვადა იწურება 29 აგვისტოს.

2018 წლის 11 იანვარს კორესპონდენცია #8 18 00021142 ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი" მიმართა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს იჯარის ვადებთან დაკავშირებით-არის თუ არა საჭირო ავტორიზაციის გავლის პროცესში საიჯარო ვადის გაზრდა 6 წლის ვადით, რათა კოლეჯს ავტორიზაციის მისაღებას შეფერხება არ შეექმნას;(დანართი 2.2)

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2018 წლის 15 იანვრის #6 18 00025056 კორესპონდენციის თანახმად- ავტროზაციის დებულება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არ ადგენს ფართის ფლობასთან დაკავშირებულ რაიმე ვადებს, ის ფაქტი რომ

ფართის საიჯარო ვადა არ ემთხვევა ავტორიზაციის ვადას, არ შეიძლება გახდეს ხარვეზის დადგენის საფუძველი. (დანართი 2.3)

2019 წლის 11 იანვარს (კორესპონდენცია #2 19 00023404) ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი“ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შუამდგომლობისთვის ქონების სააგენტოსტან იჯარის ვადის გაგრძელებათან დაკავშირებით;(დანართი 2.4)

2019 წლის 6 თებერვალს ( კორესპონდენცია #1 19 00131368) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მიმართა შუამდგომლობით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსისთვის საიჯარო ვადის 10 წლით გაგრძელების შესახებ;(დანართი 2.5)

2019 წლის 14 თებერვალს (კორესპონდენცია #3 19 00169341) ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი“ მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საიჯარო ვადის 10 წლით გაგრძელების შესახებ;(დანართი 2.6);

2019 წლის 18 აპრილს (კორესპონდენცია #6 19 00452303) ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი“ მიმართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს სპორტული დარბაზის იჯარის ფორმით 10 წლით გადმოცემასთან დაკავშირებით;(დანართი 2.7);

2019 წლის 18 აპრილს (კორესპონდენცია #6 19 00452301) ა(ა)იპ კოლეჯმა „იკაროსი“ მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შუამდგომლობისთვის სპორტული დარბაზის იჯარის ფორმით 10 წლით გადმოცემასთან დაკავშირებით;(დანართი 2.8);

2019 წლის 6 მაისს ( კორესპონდენცია #1 19 00522450) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ მიმართა შუამდგომლობით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსისთვის სპორტული დარბაზის იჯარის ფორმით 10 წლით გადმოცემასთან დაკავშირებით ; (დანართი 2.9);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ამ ეტაპზე დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით მიმდინარეობს იჯარის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით პროცედურები.

**მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები არ ითვალისწინებს ფართის იჯარის ხელშეკრულების ვადების კონტროლს, სასწავლო დაწესებულების საქმიანობის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის საჭიროა უმოკლეს ვადებში მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან [redacted];
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია იჯარის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა პროგრამებთან დაკავშირებული მატერიალური რესურსი. დაწესებულებაში არის 5 აუდიტორია, 4 სამზარეული და 1 საკონდიტრო სახელოსნო.

სახელოსნოები სრულადაა აღჭურვილი პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შესაბამისი რესურსით.

საკონდიტროს 1 სახელოსნოში შესაძლებელია 2 ცვლაში 4 ჯგუფის სწავლება, თითო ჯგუფში 15 სტუდენტი, სულ 60 პროფესიული სტუდენტი. სახელოსნო სრულადაა აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული შესაბამისი რესურსით.

თეორიული სწავლების მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 18 საათი, 4 ჯგუფის შემთხვევაში-72 საათი. 7 დღიანი დატვირთვის შემთხვევაში საკმარისია 1 თეორიული კლასი მაქსიმალური 10 საათიანი დატვირთვით.

პირველადი დახმარების სწავლებისთვის გამოყოფილია დამოუკიდებელი სასწავლო ოთახი.

სამზარეულოს 4 სახელოსნოში შესაძლებელია 3 ცვლაში 27 ჯგუფის სწავლება, თითო ჯგუფში 14-14 პროფესიული სტუდენტი, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან დამოუკიდებელი სამუშაო ადგილებით. კოლეჯი ითვალისწინებს სტუდენტების მიერ ცვლის შერჩევას და გეგმავს 24 ჯგუფის სწავლებას 3 მიღების ფარგლებში, თითო მიღებაზე 8 ჯგუფი, 112 პროფესიული სტუდენტი. სამზარეულოს სახელოსნოებში პროფესიული სტუდენტის მაქსიმალური დატვირთვა იქნება კვირაში 15 საათი. სასწავლო გეგმა ახალ პროგრამაზე გაწერილია სამ ბლოკად, თითო ბლოკის დასრულების ვადა ემთხვევა ახალი ჯგუფის მიღების დროს. როდესაც პირველად მიღებული პროფესიული სტუდენტები გადავლენ სწავლების მესამე ბლოკზე, სტუდენტთა რაოდენობა გახდება მაქსიმალური - 336 პროფესიული სტუდენტი.

თეორიული სწავლების მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 17-18 საათი, 24 ჯგუფის შემთხვევაში - 420 საათი. 7 დღიანი დატვირთვის შემთხვევაში საკმარისია 1 თეორიული კლასი მაქსიმალური 84 საათიანი დატვირთვით სამი ცვლის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში არის 4 კომპიუტერული აუდიტორია-B გარემო.

2019 წლის 15 ივნისის საინვენტარიზაციო აღწერის მონაცემებით და ადგილზე დათვალიერებით დასტურდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა განაწილებულია ამგვარად:

1 აუდიტორია-20 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი), 1 ლეპტოპი, 1 პრინტერი, 1 ეკრანი;

მე-2 აუდიტორია-3 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი), 32 ლეპტოპი, 1 პრინტერი, 1 ეკრანი;

მე-3 აუდიტორია-18 ლეპტოპი, 1 პრინტერი, 1 ტელევიზორი;

მე-4 აუდიტორია-19 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი), 1 პროექტორი, 1 ტელევიზორი, 1 პრინტერი.

A და C გარემოში შემდეგი სახითაა განაწილებული ტექნიკა:

6 კომპიუტერი (კეისი, მონიტორი);

11 ლეპტოპი;

10 ტელევიზორი;

2 პროექტორი;

12 პრინტერი;

2 მონიტორი და პროცესორი სარესტორნო მომსახურების პროგრამისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კულინარიის ხელოვნების პროფესიული პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა შესაძლოა განისაზღვროს 336-ით, ხოლო კონდიტერიის პროფესიული პროგრამისთვის კი - 60 პროფესიული სტუდენტით .

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებათა და მცირეფასიანი ინვენტარის ჩამონათვალი;
- სასაქონლო ზედნადებები;
- მიღება–ჩაბარების აქტები;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯში ,,იკაროსი" არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. კერძოდ: დაწესებულებას აქვს ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა. კოლეჯი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. მოწესრიგებულია და გარემონტებულია სველი წერტილები და დაცულია სანიტარული ჰიგიენის ნორმები.; სველი წერტილები განთავსებულია პირველ, მეორე და მესამე სართულებზე; კოლეჯში არის 4 გასახდელი, საშხაპით. საგამოფენო სივრცე, რომელიც აგრეთვე გამოიყენება სტუდენტთა მოსასვენებლად აღჭურვილია რბილი სამეულებითა და ტელევიზორებით; კოლეჯში ყველა სასწავლო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო აუდიტორიებში დამონტაჟებულია კონდიციონერები.

კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ პროფესიულ კოლეჯს ,იკაროსი" სისტემატიურად ემსახურება ქალაქ თბილისის მერიის დასუფთავების სამსახური. შესაბამისად, კოლეჯი ყოველთვიურად იხდის დასუფთავების მოსაკრებელს. **თუმცა ექსპერტთა ზრით, სასურველია კოლეჯის ადმინისტრაციამ მეტად აქტიურად ითანამშრომლოს შესაბამის დაწესებულებებთან კოლეჯის გარე ტერიტორიის მოწესრიგებისთვის: მოითხოვოს ასფალტის საფარის განახლება, დაავადებული ხეების მოჭრა და ტერიტორიის სისტემატური და ხარისხიანი დასუფთავება.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

*დანართი №2*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში არის კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკა აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით (6 ერთეული), არსებობს ანბანური კატალოგი. არსებული ლიტერატურა არის აღრიცხული საბიბლიოთეკო წესით. არსებობს ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი.

ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით გადაამოწმეს სხვადასხვა მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა და დააფიქსირეს, რომ ბიბლიოთეკაში სრულად არის წარმოდგენილი მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, როგორც ბეჭდური სახით, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული.

კოლეჯის კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში და თითოეულ პროფესიულ სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს აღნიშნულ მასალასთან წვდომა. ასევე, კოლეჯი სარგებლობს http://vet.ge/jump_profession/educational-resources/ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსებით. აგრეთვე, ბიბლიოთეკა აღჭურვილია ელექტრონული ბიბლიოთეკით Open Biblio.

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2013 წლის 14 თებერვლის №01-09/50 ბრძანებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი" ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი;
- ბიბლიოთეკის ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი" დირექტორის 2013 წლის 14 თებერვლის №01-09/50 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- 2019 წლის 29 მაისის N90 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- ელექტრონული და ბეჭდური კატალოგების გადამოწმების შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობის დადგენით მოდულებში მითითებულ ლიტერატურასთან;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯი ,,იკაროსი" საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

ყველა პროგრამისათვის განკუთვნილია მინიმუმ ერთი პერსონალური კომპიუტერი/ნოუთბუქი და ერთი პროექტორი ეკრანით ან ტელევიზორი პრეზენტაციის მეთოდით სწავლებისათვის. ბიბლიოთეკის სამკითხველოში სტუდენტებისათვის განკუთვნილია 6 კომპიუტერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

კოლეჯის ყველა თანამშრომელი ჩართულია მართვის საერთო სისტემაში ,,Eflow''. კოლეჯში არსებული ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში.
კოლეჯი ჩართულია პროფესიული კოლეჯების ერთიან მონაცემთა ბაზაში (vet.ge) და საშტატო განრიგით გათვალისწინებულია რეესტრის წარმოების სპეციალისტის თანამდებობა, რომელიც სისტემატიურად უზრუნველყოფს ბაზაში ინფორმაციის შეტანას. რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია თანამშრომელთა სამსახურებრივ ინსტრუქციებში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერნეტის, დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულებები;
- პროფესიული კოლეჯების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის გადამოწმების შედეგები;
- რეესტრის წარმოების სპეციალისტის სამსახურებრივი ინსტრუქციები;
- ინტერვიუს შედეგებით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა E-flow, არსებობს ოფიციალური დოკუმენტების აღრიცხვის სარეგისტრაციო სპეციალური

ჟურნალები, სადაც ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. ჟურნალები ზონარგაყრილია და ბეჭედდასმული.
ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/160 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი“ -ს საქმისწარმოების ინსტრუქცია.
კოლეჯის საქმისმწარმოებელი ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციას, სისტემატიზაციასა და მის ოპერატიულ მიწოდებას ხელმძღვანელობისა და შემსრულებლებისათვის, უზრუნველყოფს კორესპონდენციის, მათ შორის კონტროლზე აყვანილ დავალებათა დადგენილ ვადებში შესრულების კონტროლს, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, უზრუნველყოფს საქმისწარმოებაში დასრულებული დოკუმენტაციის აღრიცხვას, დამუშავებასა და გადაცემას არქივისათვის არსებული წესების თანახმად და სხვა. კოლეჯში მიმდინარეობს ტაბელის წარმოება სამუშაო დროის აღრიცხვისათვის, სტუდენტების აღრიცხვიანობა მიმდინარეობს, როგორც ჟურნალებში, ასევე ელექტრონულადაც. სტუდენტების პირადი საქმეების მოწესრიგება, დანიშვნის ბრძანებებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანების წიგნების, დიპლომების გაცემის წიგნის წარმოება და ა.შ.
საქმისწარმოების ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვის დადასტურების მიზნით მოხდა საქმისმწარმოებელთან ინტერვიუ და დასტურდება, რომ მისი საქმიანობა ხორციელდება დადგენილი წესის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმისწარმოების დოკუმენტების გადამოწმების შედეგები;
- E-flow-ს სისტემის გამოყენების გადამოწმების შედეგები;
- „ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსის დირექტორის 2014 წლის 06 მარტის N01-09/43ა ბრძანებით;
- ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/160 ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - კოლეჯის „იკაროსი“ -ს საქმისწარმოების ინსტრუქცია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი - ა(ა)იპ კოლეჯში ,,იკაროსი" შექმნილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. უსაფრთხოების წესების შესახებ გამოცემული 2013 წლის 01 თებერვლის №01-09/33 ბრძანება; კოლეჯს გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ცეცლმაქრები განთავსებულია ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმაზე მითითებული პირობითი აღნიშვნების შესაბამისად. თითოეულ ცეცხლმაქრთან გამოკრულია გამოყენების ინსტრუქცია. დაცულია ცეცლმაქრების გამოყენების ვადები. კოლეჯის მიერ შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ყველა სართულზე..

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა - შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია ევაკუაცის გეგმა, რომელიც მომზადებულია შპს ,,სახანძრო უსაფრთხოების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

მიერ“ და შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის სახანძრო დაცვისა და საგანგებო სიტუაციათა სამსახურთან.

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები - შენობის მესამე სართულზე განთავსებულია მედდის ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საშუალებებით.
ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი" საშტატო განრიგის თანახმად გათვალისწინებულია მედდის თანამდებობა, რომლის ფუნქციებიც გაწერილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კოლეჯის „იკაროსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებში. კოლეჯის მიერ შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ინსტრუქცია, რომელიც გამოკრულია კოლეჯის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე და მედდის ოთახში.
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები - დაწესებულება შენობის მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დარაჯის ოთხი საშტატო ერთეული, დარაჯი პასუხისმგებელია შენობის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვაზე სამუშაო ცვლის ჩაბარებიდან სამუშაო ცვლის გადაბარებამდე.
კოლეჯს გააჩნია ვიდეოსათვალთვალო სისტემა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან (შენობის დაცვის შიდა და გარე პერიმეტრის მიზნით) და შენობაში დამონტაჟებულია საგანგაშო სიგნალი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტიცების შესახებ“ 2013 წლის 31 დეკემბრის N01-09/306 ბრძანება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

- „ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 01 თებერვლის №01-09/33 ბრძანება;
- „სიცოცხლის, ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 07 ივნისის N01-09/259 ბრძანება;
- სასაქონლო ზედნადებები ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის, სამედიცინო ინვენტარის, საშუალებების და ვიდესათვალთვალო სისტემის (ვიდეოთვალები) შეძენასთან დაკავშირებით;
- „ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსის დირექტორის 2014 წლის 06 მარტის N01-09/43ა ბრძანებით;
- სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.
**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში მოხდა კოლეჯის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოს გადამოწმება. კოლეჯს აქვს პანდუსი ცენტრალური შესასვლისათვის და მეორე და მესამე სართულზე ასასვლელი, **თუმცა აგრეთვე, ავტორიზაციის ექსპერტების აზრით, სასურველია შშმ პირებისათვის გარემო იყოს მეტად ადაპტირებული. კარმოდ, კუსტარული პანდუსების ნაცვლად მოეწყოს პანდუსები ან დამონტაჟდეს ლიფტი 2014 წლის 6 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილების №41 „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა**

**დაარქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებისთაობაზე“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.** სველი წერტილები ადაპტირებულია, გამოყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირი.

2013 წლიდან კოლეჯში პროფესიული ტესტირების საფუძველზე ირიცხებიან სსსმ პირები კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. დღეისათვის კოლეჯს ჰყავს 16 სსმ პირი, ინკლუზიური პროფესიული განათლების 2 სპეციალისტი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის თანამდებობზე შერჩეულია ფსიქოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირები. სპეციალისტები და ასისტენტი მოქმედებენ კანონით დადგენილი წესისა და თავისი კომპეტენციების შესაბამისად. კოლეჯში სწავლობენ სმენადაქვეითებული პროფესიული სტუდენტები, რომლებთანაც მუშაობენდაწესებულების მიერ აყვანილი შტატგარეშე ჟესტური ენის თარჯიმანი.

დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. კოლეჯის მასწავლებლებს აქვთ გავლილი სპეციალური მომზადების კურსი ინკლუზიური განათლების შესახებ; 2013 წლიდან კოლეჯი ,,იკაროსი" მონაწილეობას იღებს ,,მაშავის" ცენტრის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამაში ინკლუზიური განათლების საკითხებზე. სულ პროექტრის ფარგლებში გადამზადებულია კოლეჯის 10 თანამშრომელი, რომლებიც გაეცნენ ისრაელში ინკლუზიური განათლების სტრუქტურას, სწავლის მეთოდიკას და შშმ პირთა ცხოვრებას. კოლეჯ ,,იკაროსის" ადმინისტრაცია ხელს უწყობს მათ დასაქმებას, რაც დაადასტურა პრაქტიკის ობიექტის დათვალიერების დროს წარმოების წარმომადგენელმაც.მაქსიმალურად ზრუნავს მათ დასაქმებაზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის №01-09/167 ბრძანება;

- „ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის“ თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსის დირექტორის 2014 წლის 06 მარტის N01-09/43ა ბრძანება;
- შშმ და სსსმ პირთა პირადი საქმეები, პორტფოლიოები;
- შემუშავებული საგანმანათლებლო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შდეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის ვებგვერდზე www.icarus.ge განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, კოლეჯის ძირითადი ნორმატიული აქტები, ხარისხის სამსახური, ინფორმაცია ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების შესახებ, ბიბლიოთეკის კატალოგი, კოლეჯის პარტნიორები, საერთაშორისო ურთიერთობები,კონკურსები, ჩატარებული კვლევები და სხვა).

ვებ- გვერდის განახლება ხორციელდება რეგულარულად კოლეჯში არსებული სიახლეების გათვალისწინებით და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს საშუალება გაეცნოს ინფორმაციასა და სიახლეებს კოლეჯის შესახებ გონივრულ ვადებში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

ვებ - გვერდის ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ქსელების ადმინისტრატორი, ხოლო ვებ-გვერდის მართვას/ადმინისტრირებას, ინფორმაციის მუდმივი განახლებას უზრუნველყოფს კოლეჯის საქმის მწარმოებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულება;
- www.icarus.ge ვებგვერდის გადამოწმების შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების მიერ 2019 წელს შემუშავებული იქნა გრძელვადია სტრატეგია. დაწესებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ გადაიხედა მისია, ხედვა და ღირებულებები. იგი მოერგო კოლეჯის მუშაობის სპეციფიკას, განსახორციელებელ მიზნებსა და ამოცანებს.

კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და გრძელვადიანი ხედვიდან.

დაწესებულებაში არსებობს აღნიშნული გეგმების შესრულების მექანიზმები, რომლის მიხედვით ყოველწლიურად ხდება ანგარიშგება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ  კოლეჯის ,,იკაროსი“ სტრატეგია ( 2019 -2024) - დამტკიცებული 2019 წლის 03 ივნისის N01-09/164 ბრძანებით;
- ა(ა)იპ  კოლეჯის ,,იკაროსიი“ 2019 წლის სამოქმედო გეგმა - დამტკიცებული 2019 წლის 03 ივნისის  N01-09/166 ბრძანებით;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*

## *3.* ადამიანური რესურსი

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯის დირექციასა და ადმინისტრაციაში დასაქმებულია 17 პირი. დამხმარე და მომსახურე პერსონალის რაოდენობა შეადგენს – 16. ასევე, დაწესებულებას ჰყავს 4 შტატგარეშე მოსამსახურე. ასევე, 2017 წლიდან კოლეჯის პედაგოგები (პროფესიული განათლების მასწავლებლები) დანიშნული არიან, როგორც შტატგარეშე მოსამსახურეები.

კოლეჯის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ბიბლიოთეკარის და მედდის შტატები. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია მათი მოვალეობები. ბიბლიოთეკარს აქვს პროფესიით მუშაობის გამოცდილება. 2018 წელს განხორციელდა მისი კვალიფიკაციის ამაღლება, ხოლო მედდას გააჩნია კვალიფიკაცია მედიცინის დარგში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსის" თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ კოლეჯი იკაროსის დირექტორის 2014 წლის 06 მარტის N01-09/43ა ბრძანება;
- ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი" დამხმარე თანამშრომლის, მძღოლისა და რეესტრის წარმოების სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქციების" დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 02 მარტის N01-09/56ბ ბრძანება;
- „ა(ა)იპ კოლეჯში "იკაროსი" პროფესიული განათლების მასწავლებლების და პერსონალის შერჩევისა და სამსახურში მიღების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ" კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 07 ივნისის N01-09/258 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დირექტორის 2019 წლის 03 ივნისის N01-09/169 ბრძანება;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები და მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ დამფუძნებელთა კრების 2017 წლის 05 ივლისის N2 სხდომის ოქმით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი“ შინაგანაწესი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

■ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

კოლეჯში ავტორიზაციის გზით დასამატებელი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეკრულება გაფორმებულია 42 პროფესიულ მასწავლებელთან. საერთო ჯამში კი სწავლებას ახორცილებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი - 55 პროფესიული მასწავლებელი. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი. განმახორციელებლებში არიან პრაქტიკული გამოცდილების პირებიც - მენეჯერები და მზარეულები თბილისის წამყვანი სარესტორნო ქსელებიდან.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა და დადასტურდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლების კვალიფიკაცია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეები.

ინტერვიუს შედეგებითთ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

ა(ა)იპ კოლეჯში ‚იკაროსი‘‘ პროფესიული განათლების განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები და ისინი გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი‘‘ დამფუძნებელთა კრების 2017 წლის 05 ივლისის N2 სხდომის ოქმით დამტკიცებული ა(ა)იპ კოლეჯის ,,იკაროსი‘‘ შინაგანაწესი;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა დანიშნის აქტები/ შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------
*(ქალაქი, წელი)*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის ეტალური სფეროს ოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის რაქართულენოვანი ტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელე ბის მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რა ოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კულინარ იის ხელოვნებ ა | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013 | 86 | 101 | ქართული | ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #4 | 101 | 336 |
| 2 | კონდიტე რია | მესამე დონე | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013 | 80 | 95 | ქართული | ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #4 | 29 | 60 |

| № | პროგრამის დასახელება | როფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია სპეციალიზაციის / სწავლის ეტალური სფეროს ოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბართენდე რი | მესამე საფეხური | ბართენდერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია1120 67 | 61 | 76 | ქართული | ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #4 | 80 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2.იჯარის შესახებ 24 გვერდი.

დანართი 3. ფოტომასალა.

02/08/2019 წელი

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(ქალაქი, წელი)*